სასოფლო გაზეთი

მესამე წელიწადი

ზამოდის შაბათობით.

გაზეთის ფასი:

	ბაგზავნით ტფილისში	ბაუგზავნელათ.
	და გარეშე ადგილებში:	ფან.
ერთის წლისა	— 4 ფან.	— 3
ნახევრის წლისა	— 3 —	— 2
სამის თვისა	— 1 ფ. 50 კ.	— 1 ფ.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზეც, ო. ნ. ამთუხის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОИ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-о.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 15. შაბათი. III. 29 აგვისტო, 1870 წ.

შინაარსი

მამასახლისი სოფელს ფულის ანგარიშს უნდა აძლევედეს.—შინაური ამბები.—ხალხის ცხოვრებიდგან:—ოსეთი სურათი.—ოჯახობა და მეურნეობა:—ციბოების გაშენება.—ინდოურისა და სხვა ფრინველების წამლობა.—შიდა თუ არა ცხენს გაკვეგა.—ქოლი აწყენს თუ არა მცენარეს.—სამეცნიერო ნაწილი:—ქარი.—ბზიკ ის ცხოვრება.—საექიმო ნაწილი—ხოლერაზე. აკავილიანის ექიმობა.—აცხო ქვეყნის ამ ;:—ვენგრია. ფრანცია.—შვეიცარია.—რძის წან ა მყრალ სუნიან ალგაზე ძოხის ძოვებით.—ქერძო ;ბ ინი განცხადებანი.

მამასახლისი სოფელს ფულის ანგარიშს უნდა აძლევედეს.

ჩვენ სოფლებში მამასახლისები სოფელს ანგარიშს არ აძლევენ, რა ფული შემოსულა სოფლის სასამართლოში და რა ხარჯი ყოფილა.

ერთხელაც ამ ჩვენ გაზეთში ლაპარაკი იყო სოფლის სასამართლოში ფულის შემოსავალზე, მაშინ ეამბობდით, რომ რაც ჯარიმის ანუ შტრაფის ფული და აგრეთვე ბეჭდის ფული შემოდის, მამასახლისი თითონ ჯიბეში ირჩენს, ასე ჰგონია თავისი მოგება იყოსო და ანგარიშსაც არავის არ აძლევს.

ანონით ეს ფული მთელი სოფლისაა და სოფელს ყოველთვის შეუძლია ანგარიში მოსთხოვოს წელიწადში რამდენჯერაც უნდა. ამისთვის მამასახლისის დაეთრები და წიგნები რაც სასამართლოშია, ყველა უნდა გაუშინჯონ და აგრეთვე რაც თითონ სოფლის გლეხებს ჯარიმა ან ბეჭდის ფული შეაქვთ, იმაზედაც გამოძიება მოახდინონ, ვის რა შეუტანია და რამდენი შეუტანია. ეს ანგარიშის მოთხოვნა იმ დროს საჭიროა როცა ახალი მამასახლისის ამორჩევის დროა. ამ ამორჩევის დროს ყველა ანგარიშების გაშინჯვა უფრო ადვილი მაშინ იქნება, თუ ადრეც მუდამ წელს ანგარიში უნახაეთ.

წელიწადში ორჯელ ანგარიში რომ მოსთხოვოს სოფელმა მამასახლისსა იმიტომ არის კარგი, რომ ჯერ ერთი მამასახლისი ყოველთვის იმ ფიქრში და ცდაში იქნება, ყოველი ანგარიში სწორეთ დაიჭიროს. მეორეთ იმითია კარგი, რომ მამასახლისის გამოცვლის დროს სამი წლის ანგარიშის გაჩხრეკა გაძნელდება.

ამისთანა შემთხვევა ჩვენ სოფლებშიაც ბევრი ყოფილა: ბევრი ულაპარაკნიათ, ბევრი ყრილობაც მოუხდენიათ, მაგრამ ძველი მამასახლისისაგან ვერა გაუგიათ რა და მამასახლისს ფულებიც ბევრი შეუტამია.

სოფელმა ეს უნდა დაიხსომოს, რომ რაც სოფლის სასამართლოში ფული შემოვა, ყველა სოფლის ხალხისაა, ყველა კაცი თავის ქონებას უფრთხილდება, სოფელიც თავის ქონებას, თავის ფულს უნდა უფრთხილდებოდეს, არამც თუ თვალს ხუჭავდეს და ყურებს იცობდეს, როდესაც მამასახლისი სოფლის ფულს ქვეშ იდებდეს.

ოდეა არ არის გლეხის ფულებს მამასახლისი სჭამდეს, არა სჯობია რომ ის ფული მოგროვდეს და ბოლოს სოფლის ჯერის მაღაზია, ან სოფლის შკოლა გაიმართონ ჩვენმა გლეხებმა. მანამდის სოფელი ანგარიშებს არ მოსთხოვს თავის დანიშნულ კაცებს, მანამდის მამასახლისები თავიანთ ჯიბისაკენ იქნებიან, არავის ყურს არ უგდებენ: ამ ახლო ხანებში ერთი სოფლის ამორჩეული კაცები სამართალში მისცეს, რადგანაც მამასახლისს სოფლის სასამართლოს ფული დაეხარჯა, შეეჭამა; ჩვენშიაც კი კარგათ შეიძლება ამისთანა საქმეები.

რახან მამასახლისი ეკაკაბს და სოფლის ფულსა სჭამს, იმისთანა კაცის მიცემა სამართალში საჭიროა.

ანონში დიდი დასჯაა დანიშნული: ვინც კი სოფლის ფულს დახარჯავს, ან შესჭამს, იმისთანა კაცს ან ციმბირში გადაასახლებენ. ან მადნებში ამუშავებენ ციმბირშიე.

ძალიან იმას ვიტყვით, რომ ყველას ისა სჯობია, წელიწადში ორჯელ მთელმა სოფელმა ანგარიში ჩამოართვას მამასახლისსა და შემოსული ფულიც გამოართვას დასხვა სანდო კაცს ჩააბაროს.—

შინაური ამბები.

წრეულს კარგ პურის მოსავალს აქებენ ქართლშიაც და ახეთშიაც.

*

ახეთში წლეულანდელი ყურძენი ნაცარმა ძალიან გაფუჭა. რაც კი გადარჩა ისიც დასეტყვა. მარიამობის 12-ს როგორც ქალაქში მოვიდა სეტყვა, ახეთშიაც ყოფილა და თელავის ახლო-მახლო სოფლებში ვენახებისთვის დიდი ზიანი მიუცია.

ქართლში წრეულ კარგი ღვინის მოსავალიაო. ახურის მაგვერობას კი ვერ ვეიზამს

მაგრამ იქნება ქალაქში ღვინოს ფასი არ მოემატოს.

***

ამ ჟამათ ქალაქში კაი თეთრი პური ფუთი მანათათ იყიდება.

***

წლევანდლისთანა უხილობა დიდიხანია ქალაქს არ უნახავს. აგერ მარიობისთვე გავიდა და ყურძენი ჯერ ისევ მჟავეა და ძვირიც არის ლიტრა სამ ოთხ აბაზათ. ვაშლი და მსხალი ასე გონია სასუნებლათ მოეტანოთო, ნესვი და საზამთრო საკმაოთ იყო, მაგრამ შარშანდელზე ერთი ორათა ფასობდა.

***

ჩვენი ქუთაისის კორრესპონდენტი გვწერს, რომ ქვემო იმერეთში ხოლერა გაჩენილა; განსაკუთრებით ფოთში ბევრი ხდებიან თურმე ავათ ხოლერითა. სოფ. ქულაშსა და იმის ახლო-მახლო სოფლებშიაც გახშირებულიაო ეს საშიშარი ავათმყოფობა. თვითონ ქუთაისში კი მაგდენათ არ არის თურმე: ამთვის ოცს სულ ჩვიდმეტი ხოლერიანი კაცი იწვა იქაურ ლაზარეთში; სიკვდილით ექვსი თუ რვა კაცის მეტს არ ჰკლავს ჯერ ხოლერა.

მაგრამ ქალაქს ახლავე დაუწყია თადარიგი: მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა გაქცეულა ქუთაისიდგან და სოფლებში გასულა დროებით; ამას გარდა ქალაქის ქუჩებს, თხრილებს და ეზოებს გულს მოდგინეთ სწმენდენ და ასუფთავებენ თურმე მცხოვრებლები. ქუთაისის ბულვარში ამოყავთ აგრეთვე რიონის წყალი. ადრინდელი საკეთილშობილო კლუბიდგან დაწყებული ბულვარამდი მილებით უნდათ გამოიყვანონ. 19 ამ თვისას წყლის ამოსაწევი ბორბალიც ჩაუშვიათ რიონში, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, სრულებით არ დატრიალდა თურმე ეს ბორბალი.

ვინ არ იცის რომ სიბინძურე, ცუდი ჰაერი და ცუდი საჭმელ-სასმელი საშინლათ ხელს უმართავს და აძლიერებს ხოლერას; ყველგან, სადაც კი გაჩნდება ეს ავათ მყოფობა, პირველათ ისეთ ხალხს მივარდება, რომელიც საზოგადოთ ცუდათ სცხოვრობს, ცუდ საჭმელსა სჭამს და ცუდათ დგას. ამიტომ, ხოლერობის დროს, უმთავრესი ყურადღება ყველაფერში სისუფთავეს და ზომიერებას უნდა მიაქციოს კაცმა. ამიტომაც საქებ საქმეს შვრებიან, რომ ქუთაისში ჯეროვანი ყურადღება მიუქცევიათ სიწმინდისათვის; მაგრამ მარტო ქუჩების და ეზოების გასუფთავება არა კმარა; აუცილებლათ საჭიროა აგრეთვე, რომ ქალაქმა კარგათ უგდოს ყური ყოველგვარ გასასყიდ ხორაგს, თვალი უნდა ჰქონდესთ, რომ ძველი და დამპალი ხორაგი არ შემოიტანონ ქალაქში და არავინ გაჰყიდოს.—

„დროება“ № 34.

ხალხის ცხოვრებიდგან

სურათი 1.

(ორი გლეხი ზის დუქნის გვერდით. ერთი ნესვის ნაჭერს ხრავს, მეორე იმას შეჩერებია პირში და თვალები უცინის, თითქოს გულით ეუბნება: კარგი, ცოტა მეც მაჭამეო.)

პირველი გლეხი. დღეს ამ ნესვის მეტი არა მიშოვნია რა. ესეც მაშინ ჩევიგდე ხელში, როცა დამპალი ხილი გოდუყარა წყალში პრისტავმა სოფლის კაცებს.

— შენ მაგი გიშოვნია და მე ვერც მაგ ვიშოვნე; კაია, ძმია, ცოტა მეც მიზიარე. (შეეტანება ხელში და წაართმევს).

— იმე, გიჟი ხარ, თუ! რავა იგლიჯები ხელიდგან. (თავში წაარტყამს) მაგეც შენ და ჩემი ჭირიც.

— ჰა, ჰა, ჰა, შენი ჭირი შენ გქონდეს და აგი მე (ნესვს ხვრას დაუწყებს). აგი რომ შვილია: სულ შეგიჭამია და რა.... (კანს გადააგდებს); არ ვიცი დღეს სადილი რავა ვიშოვნო. (გაიზმორებს და იქვე გაეფიცხება მზეს.)

— ჩემი ფიქრიც მაგია. ნეტაი სულ არაფერი მაკეთებინა და თავის დროზე, რო დოუწრუპუნებდე, ყოველთვის წინ სუფრა გემეშლებოდეს და ნაირ-ნაირი საჭმელები მომერთმეოდეს.

— ვაჟო, ქე, გცოდნია კაი ნატვრა!... რომ აგიხდეს, მეც მიზიარებ?—

— შენმა სიცოცხლემ!. მიზიარებ კი არა ის კიდო.—

— ძალით წაგართმევ, მომეცა ღვთის წყალობა მე!

— აგი, რა ჭირი ამიტყდა. მასწი, ბიჭო იქით, იმე!... ე, პრისტავი მოდის! მეხილეებს უნდა წაართვას ხილი და წყალში გოდუყაროს. რიონისკენ გევიქცევი, იქნება კიდო რამე ვიშოვნო.

— ჰაჲ, თქვე ოხრებო, გითხარით ხილს ქალაქში ნუ შამოიტანთ; რატომ არ გაიგონეთ, ხომ იცით ავათმყოფობაა და დამპალი ხილი კიდევ უფრო გააჩენს. შენ, ეი, ბიჭო მოიტანე ეგ ატმით სავსე კალათი!—

— შენი ჭირიმე, ბატონო, ამის მეტი არ მაქვს დღეს გასაყიდი; დღეს ათი ვერსტი გამომივლია მაგის გულისთვის. მაგიც რომ წყალში გადამიყაროთ, რა უნდა ვქნა.

— პოლიციამ დიდი ხანია განკარგულება მოახდინა: ამ ავათმყოფობის დროს ხილს ნუ შემოიტანთ, ნუ გაჰყიდითო. თქვენ კი არ გესმისთ, მოიტა ჩქარა! კარგი ხილი მაინც მოგეტანა, სულ დამპალია. (წაართმევს კალათს და რიონში გადაჰყრის.)

უსაქმო ბიჭები დგანან რიონის პირზე და იძახიან: ურაა! კამპანია! აბოჭეთ, აბოჭეთ, აბა ვინ უფრო ბევრს ატამს იშოვნის. (ზოგი იქვე სჭამს, ზოგი უბეებს ივსებს).

სურათი 2.

(ბაზარია სოფლის ურმები შეშით დატვირთულები ჭრიალობენ. მოგროვილი სოფლელები და ვაჭრები ხმა მაღლა ლაპარაკობენ. საზოგადოთ დიდი ხმიანობაა.)

(ერთგან ორი გლეხი ლაპარაკობს.)

პირველი გლეხი. წახდა დრო, მოსავალმაც აკლო. წრეულს რა ღვთის რისხვა ამიდები იყო! ზამთარში თოვლი არ გვინახავს და ხეხილმა რომ ყვავილი გამოიღო, მაშინ მოვიდა თოვლი! სულ ერთიანათ მოწვა, მოდაგა ყოველი ფერი. წრეულს იმიტომ არ არის კი ხილი.

— მეორე გლეხი. — რაც დრო გადის, უფრო და უფრო დიდდება უბედურება ქვეყანაზე. სულ არა აქვს ბარაქა ჩვენ მუშაობას. ხან წყლები წალექავს ნამუშავერს და ხან უდროვო ყინვა მოწვამს ყოველფერს. მადასახადს არ იტყვი: ფოშტის ფული ყოველ წელიწადს მატულობს; რაც მოგვივა, იმის მეოთხედი უწინდელს ბატონს უნდა მივსცეთ; ახლა სხვა და სხვა გადასახადი, ხან შკოლებისთვის გვახდევინებენ, ხან ეკკლესიისთვის, ხან გაზეთი ვარო....ათას ნაირ საქმეს მოიგონებენ და ყველა ჩვენი ჯიბის წყალობით გამოდის.

— ამდენი გადასახადისაგან მუშაობის ხალისი გეკარგება კაცს. რაც უნდა ბევრი იშრომოს ჩვენებურმა კაცმა, მაინც შინ არა მაგრდება-რა. მაინც გახრეკილია ჩვენი ოჯახი და მაინც... ისთევე ის ჯობია კაცმა თავი დაანებოს ყოველფერს ცოლშვილს, სახლკარს და

ისე დადიოდეს; ორიოდე ლუკმა პურს ხელიც რომ არ გაანძრიოს, მაინც ყოველთვის იშოვნის.

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი: სწორეთ ცუდი დრო დადგა, ცუდი!..

ა ზ ნ ა უ რ ი.—ბიჭო, ვისია მაგ შეშა, არ გესმის?

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი. ჩემია, ბატონო.

ა ზ ნ ა უ რ ი.—რას აფასებ?

— სამ მანეთს.

— შეხედე ახლა ამ წუწკის შვილს, ორი ხნირისთვის სამ მანეთს ითხოვს!

— ბატონო, რას იგინები, თუ არ გინდა, ნუ იყიდი.

— ჩუმათ, თვარამ მე ვიცი, დღეს შენ მოგხვდება!

— მომხვდება რა, ასთე ალა-ალაა თუ? მადლობა ღმერთს, მიროვის სუდი ეგერ არის.

— გაჩუმდი, თქვა, ბიჭო!...—უკანასკნელი ფასი?

— იგია, ბატონო, სამი მანეთი.

— ოჰ, შენ გაგიწყდეს მიწა... (ჩაივლის.)

სურათი 3.

(ბაზრის გზა დაცლილია. ერთი ზურგ მოხრილი მათხოვარი მოდის და წინ ჯოხს იბჯენს. დაგლეჯილი ხვირჯინი ზურგზე ჰკიდია. უკანა-თვალი პურის ნატეხებით სავსე აქვს.)

გ ლ ა ხ ა.-(მარჯვენით და მარცხნით თავს უკრავს.) მწყალობდესთ ღმერთი, ღვთის გულისათვის ერთი კაპეიკი გადმომიგდეთ, ღმერთი იყოს თქვენი შემწე. ერთი კაპეიკი, ერთი...

(ამ დროს წამოდგება დუქნის გვერდით რომ კაცი იყო მზეზე გაფიცხებული და მიუახლოვდება გლახას.)

— ქიკოლას გოუმარჯოს.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, მომეცი რამე ღმერთი ხელს მოგიმართავს. დღეს არა მიშოვნიარა.

— ჰა, ჰა, ჰა!.. (იცინის) აბა, რა არის ეგ ხვირჯინები, რომ სავსე გაქვს.

— ეს, შვილო, პურის ნატეხებია.

— მე მაგიც არა მაქვს (ხელს გადახვევს). ორიოდე პურის ნატეხი მომეცი, ჩემო კიკოლა.

— აჰ, აჰ! მე დამჭირდება. სირცხვილი არ არის, მაგისთანა ვაჟიკაცი ჩემისთანა გლახას ხხოვდეს პურს!

(ამ დროს ის ჩაუყოფს ხელს უკანა ხვირჯინში და რამდენსამე ნატეხს პურს ამოჰგლეჯს და გაიქცევა.)

— ოჰ, რას შობი, კაცო, მე მჭირდება, ღმერთი არ გწამს, გლახას ცარცვავ!

— ჰა, ჰა, ჰა—მაინც ბევრი დაგრჩა, გეყოფა. ხვალ სხვას იშოვნი. (დაჯდება დუქნის გვერდით და მოტაცებულს პურს ჭამას დაუწყებს.)

— ღმერთმა მოჰკითხოს ჩემი გაცარცვისთვის (გლახა ჩაივლის).

სურათი 4.

ქვითკირის ოთახში ზის ერთი ხნიერი დედაკაცი და მოშორებით (ზის პატივცემული მოხუცი).

დ ე დ ა-კ ა ც ი.—საკვირველს დროს მოვესწარით. ჩემო... რაც ახლა ამბავი ჰხდება, ჯერ იმისთანას არას მოვსწრებივარ. წელან ვერ დაინახე, რა მოხდა ბაზრის გზაზე?..

— ვერა. რა იყო?

— ასე წახდენილი ხალხი, როგორც ახლა, ჩემ თვალებს არ უნახავს.

მოხუცი.—ჰაი, ჰაი! (წვერებზე ხელს იკიდებს.)

დ ე დ ა-კ ა ც ი.—წელან ერთმა საწყალმა გლახამ გაიარა ბაზრის ქუჩაზე (აკოშკიდგან მიუთითებს) და ეგერ რომ დუქანია, ხომ ხედავ. ე, ის ორი ყაზახი (გლეხი) რომ ზის, ხომ ხედავ, რავა ლაზღანდარობენ! მთელი დღე ისე ზიან და ღლაბუცობენ. დილიდგან საღამომდის იმის მეტს არას აკეთებენ. იძ მამა ოხრის შვილებს რაუჭირსთ, რომ გეისარჯონ და ფული იშოვნონ. რომელიც ახლა იცინის, ის კაცი გამოეკიდა იმ გლახას წელან, დაუწყო ლაპარაკი და იმდენი იეშმაკა, რომ პურის ნატეხები ამოაცალა ხვირჯინიდგან საწყალს გლახას და გაიქცა....

— ჰეი, ჰეი, ეგ რა არის! ზოგი კიდევ აწ ვნახოთ. ასეთს დროს მოვესწრებით, რომ დედა შვილს არ ცნობულობდეს!...

გ. წერეთელი.

ოჯახობა და მეურნეობა.

კ ი ბ ო ე ბ ი ს გ ა შ ე ნ ე ბ ა. ამ უკანასკნელს ჟამს თევზი ძალიან გაწყვა ევროპის ბაზრებში, მაგრამ კიბოები კიდევ უმეტესად გაძვირებულა. რადგან მეტის-მეტათ ითხოვენ იმას. ამისთვის მეოჯახეებმა სასარგებლოთ დაინახეს კიბოების გაშენება და ამ შემთხვევაში ძალიან კარგი დარიგების წიგნი გამოსცა ერთმა სწავლულმა მეოჯახემ, სახელად ქარბონიემ. ამ კაცს დიდის გამოძიების შემდეგ შეუტყვია, რომ ჩვენს წყლებში ორ გვარი კიბოები ცხოვრობს: ერთია მოზდილი გვარის წითელ-ფეხებიანი, რომელიც დიდ მდინარეებში იმყოფება, მეორე წვრილი გვარისა თეთრ ფეხებიანი, რომელიც პატარა მდინარეებში და წყაროებში იმყოფება. ის დაწვრილებით ასწერს ამ კიბოების ცხოვრებას წყლებში, როგორ უნდა იმათი ჭერა და სხვა. ბოლოს იმასაც ლაპარაკობს, თუ როგორის სიამოვნებით ყიდულობენ საჭმელათ სხვა და სხვა ევროპის ქალაქებში.

*
* *

ქარბონიე გვაცნობებს, რომ მარტო პარიჟში ყოველ წლობით ხუთ მილიონ ნახევარი გაზდილი გვარის კიბო შეიჭმებაო; საფრანგეთის მდინარეებიდგან ძალიან ცოტა მოჰყავთ, უფრო ბევრი შემოდის პარიჟში საზღვარ გარეთიდგან, სახელდობ: გოლლანდიიდგან, რეინის კიდეებიდგან, დიდი საგერცოგო ბადენიდგან, ვირტემბერგიდგან, განნოვერიდგან და ზოგი ავსტრიიდგანაც: ამ ჟამათ ზემოხსენებულ ქვეყნებშიაც გაწყვა და ამის გამო პრუსიის მაზრებიდგანაც კი იწყეს დაბარება. მალე დადგება ის დრო, როცა რუსეთიდგანაც დაიწყებენ კიბოების დაბარებას.

*
* *

თუმცა კიბოები ძალიან ბევრს კვერცხებს დებენ, მაგრამ ძალიან გვიან მრავლდებიან. კიბო თორმეტ წლამდის იზდება; ყველაზე დიდი კიბო ოცდა ოთხის წლისაც უნახავთ. ყოფილა მაგრამ ძალიან ძვირათ ნახევარ გირვანქიანი მდინარის კიბო, რომელიც ხნით ორმოცდა ათ წლამდის მიღწეულა.

*
* *

რადგან ასე გვიან იზდება და მრავლდება კიბო, აქამდინაც დრო იყო საზოგადოებას ყურადღება მიექცია კიბოების შენებაზე, ისე როგორც თევზებს აშენებენ აუზებში და მდინარეებში, რომ სულ არ ამოწყდენ. რამდენიმე წლის წინათ მარკიზმა სელვმა გააკეთა დიდი კიბოს აუზი, სადაც აშენებთ მოზდილ გვარის კიბოებს და დიდს წარმატებასაც ჰხედავს ამ საქმეში. თუმც აუზში ჯერ კიდევ არ დამთავრებულან კიბოები, მაგრამ ახლაც დიდს სარგებლობას აძლევს აუზის პატრონს

გარდა იმისა, რომ დიდი ხანია ისწუფული გაისტუმრა, რაც აუზის გაკეთებაში დახარჯვია თვითონაც ბევრს ჰყიდის.

ინდოურის ჭუკების და ფრინველების რჩენა.

ყველამ ვიცით, რა ძალიან კვდებიან ინდოურის ჭუკები, იმ დროს, როცა თავზე წითელი ბიბილები ამოსდით; ზოგჯერ ისე გაძლიერდება იმათი ხოცვა, რომ ასში ოცი არ გადარჩება. ამ ოცის წლის წინათ ერთს მეაპთეკეს და ფრინველის მომშენებელს მოუგონია ასეთი წამალი ამ ავათმყოფობისთვის, რომ თურმე მისწრებაა. აი, როგორ ამზადებს ის ამ წამალს: ხუთმეტს წონას წვრილათ დანაყილს მიხაკს აიღებს, ორმოცდაათ წონას იმბირს **Имбирь**, ხუთს წონას ანისუნს. ნახშირ-ძმარა რკინას ოცდა ხუთს წონას. სულ ეს ძალიან უნდა დაინაყოს და ერთმანეთში აურიონ. ეს წამალი ასე უნდა ეძლიოს: დილით და სალამოთი თითო ჩაის კოვზი ამ წამლისა უნდა შეურიონ იმდენ საზდოში, რამდენიც ეყოფა ოცს ინდოურის ჭუკს და სამკვირის განმავლობაში ეს წამალი არ უნდა მოაკლო, განსაკუთრებით, როცა ავდრიანი ამინდია. ეს საშუალება თანასწორათ არგებს ხოხობს და საზოგადოთ შინაურს ფრინველებს.

უნდა თუ არა ცხენს გაკრეჭა. დასავლეთის ევროპაში თანდათან ხშირდება ცხენების გაკრეჭა, მაგრამ ზოგიერთი ჯოგის მაშენებლებს ეშინიათ, ვაი თუ დიდი ზიანი მიეცეს ცხენს იმით, რომ ბუნებისაგან მიცემულს ტანსაცმელს შემოვაცლითო. მაგრამ როგორც შეუნიშნავთ და გამოუცდიათ უმეტეს ნაწილათ გაკრეჭა არამც თუ აწყენს, თურმე კიდეც უხდება. მართალია გარეულს ცხენს ბეწვი ეზდება, მაგრამ მაშინ ის არც იმდენს მუშაობს, როგორც შინაური ცხენი.

***

შენიშნულია, რომ გაკრეჭილი ცხენი ზაფხულ და ზამთარშიაც უფრო მალე შრება ოფლისაგან, ვინამც გაუკრეჭელი და გძელ ბეწვიანი; მუშაობაშიაც უფრო მალე იღლება. გასაკვირველიც არ არის, რადგან ტანზე ბევრი თმა მუშაობაში ამძიმებს. როდესაც კაცი მუშაობს, ის ტანსაცმელს იხდის, თუნდა ზამთარიც იყოს, ამიტომ რომ ამძიმებს. ცხენიც ეგრეა. გაკრეჭილი ცხენის ურვება და წმენდა უფრო ადვილია და ზოგიერთ შემთხვევაში ეს გაკრეჭა კიდეც იფარავს სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან, როგორც ექიმებს შეუნიშნავთ. მაგრამ გაუხედნელი ცხენის გაკრეჭა კი არ ვარგა. არც იმ ცხენებს მოუხდებათ გაკრეჭა ზამთარში, რომელნიც მუშაობაში არ არიან; არ მოუხდება აგრეთვე გაკრეჭა იმ ცხენებს, რომელნიც ძვირათ გამოჰყავთ კარში სამუშაოთ და მუშაობაში დიდხანს დგანან ერთს ალაგას.

***

საზოგადოთ რომ ვთქვათ, ცხენები უფრო თბილ ამინდებში უნდა გაკრიჭო, რომ შეეძლოსთ ჰავაზე ტანის შეჩვევა; საუკეთესო ამინდი ცხენის გასაკრეჭათ შემოდგომის დამდეგია. ერთმა ინგლისელმა მოიგონა მშვენიერი ცხენის საკრეჭავი მანქანა, რომლითაც ძალიან მალე კრეჭავენ ცხენებს. ეს არის მაგრატელსავით მოწყობილი ორი რკინის გძელი სავარცხალი. თუ ცივი ამინდები დადგა, გაკრეჭილს ცხენებს ჩულს გადააფარებენ; მუშაობის შემდეგ გარეთ დიდხანს არ უნდა გააჩერონ. წვიმის შემდეგ უნდა გაწმინდო და დაჩულო. როდესაც ცხენის ტანი შეეჩვევა, მერე კი აღარაფრით ეჭირვება ამისთანა ზრუნვა. ძვირფას ცხენებს კი არ უნდა გაკრეჭა, რადგან იმათ უამისოთაც კარგი მოვლა აქვთ.

კომლი აწყენს, თუ არა მცენარეს.

ერთი განათლებული რუსის მეოჯახე ამბობს: რამდენიმე წელიწადი ვუკვირდებოდიო, აწყენს თუ არა კომლი მცენარესო და ბოლოს დავრწმუნდი, რომ სწორეთ აწყენსო. მაგალითად, ის ამტკიცებს, რომ კომლი თუ გრეჩის ყვავილს მოხვდა, ძალიან სწყენსო. თუ გრეჩის ყანის მახლობლათ ბალახი დაუწვავთ და კომლი მოდებია იმ ალაგს, მეორე დღეს რომ გრეჩის ყვავილი გაჩხრიკო გამადიდებელ შუშაში, შენიშნავ, რომ ყვავილი თაფლს აღარ იღებს და ცოტახანს შემდეგ ყვითლდება და ჭკნება, ნაყოფს ან სულ არ გამოიღებს და თუ გამოიღო, ძალიან გამოფიტებული იქნება. მე მგონიაო, ამბობს რეინი — ის კანონი, რომელიც უშლის ბალახების დაწვას 1-ლს სეკდემბრამდის ძალიან სასარგებლო იქნებოდა ოჯახობისთვის და ნაცრის მარილის კეთებასაც არას დუშლიდაო.

***

მეორე მეოჯახე პუჩევსკიც ამ აზრის არის. დიდი კომლი რომ ზარალს შვრება ყანებში, ამას ყველანი ამტკიცებენ, განსაკუთრებით გლეხები უჩივიან. საზოგადოთ ბევრნი ამბობენ, რომ კომლი ძალიან ზიანს უშვრება ყანებსაო; ზოგი კი არ ეთანხმება ამ აზრს. ამ შემთხვევაში ყველას ემჯობინება, რომ უფრო მცოდნე კაცები დაწვრილებითს გამოკვლევას შეუდგებოდნენ, თუ რამდენათ სასარგებლო, ან მავნებელია კომლი ყოველნაირ მოსავლისთვის.

***

გერმანიაში ნაცრის მარილისთვის არ სწვენ ბალახს და ამისთვის ტყეში ძვირათ ჩნდება დიდი ცეცხლი. ამ ჟამათ ბევრს ადგილას მოიწყეს ჭაობების წვა, რომ ნაცრის მარილი ამზადონ, მაგრამ ბრემენის ახლო-მახლო შესდგა ერთი საზოგადოება, რომელიც ეწინააღმდეგება ჭაობებში ცეცხლის გაჩენას იმ აზრით, რომ კომლი ავნებს ცხოველსაც და მცენარესაც. უნდათ კიდეც მთავრობას კანონი დაადებინონ, რომ ბალახების წვა და ჭაობებში ცეცხლის გაჩენა მოაშლევინონ. არავის ნება არა აქვს, რომ თავის მეზობელს კომლით მისცეს ზარალიო. რომელნიც ჭაობების დაწვით სარგებლობენ, იქნება ათასობით იყონ, მაგრამ მილიონებს კი იმითი ზარალი მოსდითო.

ჩვენი კანონით, ამბობს ეს საზოგადოება — არავის არა აქვს ნება ქიმიური შენობა გააშენოს, იმის კომლი თუ ავნებს გარემო მდებარე ადგილებს. ჩვენში აგურხანების მოშლა ბრძანა მთავრობამ, მისთვის რომ იქიდგან კომლი მიჰქონდა ქარს მახლობელ ტყეებში და ზარალს აძლევდა. ამისგამო მთავრობას ვერც იმის ნებას წაართმევს ვინმე, რომ ზოგიერთს ადგილს და მხოლოდ დრო შერჩევით მისცეს ხოლმე უფლება კერძო პირს ჭაობების და წყლისათვის. ბევრი მეოჯახე ამტკიცებს, რომ გერმანიაში კომლი დიდ ზარალს შვრებაო.

***

დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა მებაღემ უჩივლა სასამართლოში ერთს ქიმიურს ქარხანას, რომ იქიდგან წამოღებული კომლი ძალიან ზარალს უშვრება ჩემს ბაღსაო. იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოანგარიშებით ას ორმოცდა ათი თუმნის ზარალი მისცემია.

სამეცნიერო ნაწილი

ჰაერის დენა (ქარი).

ჰაერის დენას, ანუ ქარს კაცის სიმთელეზე ის გავლენა აქვს, რომ უფრო ბევრს სითბოს ართმევს იმის ტანს, ვიდრე მშრალი და მყუდრო ჰაერი. ქარი ანუ მომდინარე ჰაერი სამჯერ უფრო აცივებს კაცის ტანს, იმითი რომ სულ ახალ-ახალი ჰაერის ნაწილები ჰხვდება ჩვენს ტანს და ყოველი იმ-თგანი გვართმევს სითბოს. ამისთვის ჰაერი ჩვენ ტანზედაც უფრო თბილი რომ იყოს, თუ კი ჰქრის და ოხშივრით არ არის გატენილი, მაინც უეჭველათ აგრილებს ჩვენს ტანს. ჩვენთვის ამისთანა ჰაერი უფრო სასიამოვნოა, ვინამც გრილი და ოხშივრით. ამისთვის რუსეთში ძალიან დიდი ყინვები უფრო ადვილი ასატანია კაცისთვის, ვინამც მოთბილო ზამთარი, რადგან დიდ ყინვებში ქარი არ იცის და პატარა ყინვების დროს უფრო ხშირად ატყდება ქარი.

***

კიდევ უფრო ძალიან ცივდება კაცის ტანი, როცა ოთახში ჰქრის გამტანი ქარი, ის ქარი, რომელსაც რუსები „სკვოზნოის„ ეძახიან. იქნება გარედგან შემოსული ჰაერი ოთახში იმდენათ ცივი არ იყოს, რამდენათაც ეს ჰაერი ტანს აცივებს. ამისგამო ტვინის ძაფები ძალიან იშლებიან და ვინც ამ გამტანს ქარს მოხვედრია, იმას ემართება სურდო, აუტყდება ქარები და გაუჩნდება სადმე ანთება. ყველამ ვიცით, მაგალითად, რაძნელია ამისთანა გამტანს ქარში ყოფნა.

***

ერთი ანგლიელი მკურნალი ამბობს, რომ გამტანს ქარში გაჩერებას ისევ გახურებულს ბრძოლის ცეცხლში ყოფნა სჯობიაო. რადგან შენიშნულია ბრძოლაში ოთხ კაცში ერთი კვდება და გამტანს ქარში ვინც დადგება ოთახში, სამიც ძვირათ გადარჩებაო.

***

გრილს ქარებს უფრო კარგი გავლენა აქვს კაცის აგებულებაზე, რადგან ტანს უფრო ალვიძებენ სიცოცხლისთვის, ვინამც თბილი და ცხელი ქარი, რომელიც ასუსტებს აგებულებას და მადას უკარგავს.

***

ქარების თვისება და ზედმოქმედება ბევრნაირია. ყველამ ვიცით, რომ ქარი ატყდება მაშინ, როდესაც ჰაერი სხვა და სხვა ალაგას მეტ-ნაკლებათ გათბება მზისაგან. ჯერ საზოგადოთ ეს უნდა ვთქვათ, რომ სადა ცხელი ქვეყნებია, იქ ჰაერი მეტად გაცხელებულია მზის შუქისაგან. ეს გაცხელებული ჰაერი უფრო დიდ-ალაგს იჭერს და იმისთვის მსუბუქდება და ადის მაღლა. იმის ალაგზე მოჰქრის ჩრდილოეთის ცივი ჰაერი. აი, ერთი საზოგადო მიზეზი ყველგან ქარის ატეხისა; მაგრამ როგორც ვიცით, დედა მიწის ზურგი მთებიანი და ვაკეებიანია და ამ ალაგებს რომ მოხვდება ჩრდილოეთიდგან მონაქროლი ჰაერი, სცვლის მრავალნაირათ თავის გზას; ალაგ სამხრეთიდგან იწყებს ქროლვას, ზოგალაგს დასავლეთიდგან, ზოგალაგს აღმოსავლეთიდგან და სხვ. ამისგამო არიან მრავალნაირი ქარები, რომელნიც მხოლოდ იმ ქვეყნების მდებარეობაზე არიან დამოკიდებულნი, სადაც ჰქრიან, მაგალითად, იმერეთში თავისებური ქარი ჰქრის და ქართლ-კახეთში თავისი.

რა ალაგებშიაც გაირბენს დაძრული ჰაერი, ანუ ქარი, იმ ალაგას შესაფერათ გათბება. ამიტომაც ზაფხულში ქალებიდგან თუ ზღვისკენ მიჰქრის ქარი, ის ძალიან თბილია და ზღვიდგან ქალებისკენ თუ მოჰქრის გრილნამიანია. აი, ამითი აიხსნება, რომ იმერეთში ზაფხულობით ზენა ქარი ყოველთვის ძალიან ცხელია და ქვენა ქარი გრილია. ზამთარში კი სულ უკულმა მოხდება ხოლმე. მაშინ ზღვიდგან თუ მოჰქრის ქარი ხმელეთისკენ, თბილია, და ხმელეთიდგან თუ მიჰქრის, ცივია. ატმოსფერის ნამიანობაც იმაზეა დამოკიდებული, თუ საიდგან მოჰქრის ქარი; თუ ზღვიდგან, მაშინ ნამიანია და თუ გოლვიან ადგილებიდგან, მაშინ ქარი ხმელია.

***

ბზიკების ცხოვრება.

ბზიკების ბუდეშიაც სამგვარი მუშები არიან როგორც ფუტკრის ბუდეში; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბზიკი მხოლოდ ერთ წელიწადს ცხოვრობს და ფუტკარი რამდენსამე წელიწადს. ცივი ამინდები რომ დადგება, იმათი ბუდეები ხდებიან და გაზაფხულზე ყოველი ბზიკი თვითონ იშენებს თავის ბუდეს, თვითონ ასრულებს ყოველნაირ მუშაობას, კვერცხებს დებს და ზრდის ახალ თაობას, სანამ გაზრდიდეს თავის შემწე შთამომავლობას.

***

შემოდგომაზე განაყოფიერებული დედაბზიკი გაზაფხულზე ჯერ გამოტეხს მუშა ბზიკებს და იმათ შემწეობით მოათავებს თავის ბუდის შენებას. ზაფხულის ბოლოს გამოჰკვებენ მამლებს და კვერცხების დამდებს დედალ ბზიკებს.

***

ბზიკის ბუდე მომცრო კვერცხუკებისგან, არის შემდგარი და მიკრული ან ქვაზე, ან რომელსამე შენობაზე. ერთია წარჩინებულია მეცნიერია ბევრჯერ დაუკვირდა ბზიკების მუშაობას თავის ბუდეში და იმათ ყოფა-ცხოვრება სულ დაწვრილებით შეიტყო. იმის აზრით ცალკე მუშა ბზიკები არ არსებობენ. ამ მუშებს შეადგენს პირველ გამოტეხილი შთამომავლობა, ვიდრე დამთავრდებოდეს. ისინი მორჩილნი არიან დედაზე, მაგრამ ყოველს იმათგანს შეუძლიან კვერცხის დედა. ისინი იმიტომ არიან წვრილთაობა, რომ ერთი დედა ყველასთვის სამყოფ საჭმელს ვერ შოულობს. მხოლოდ როდესაც პირველ გამოტეხილი ბზიკები გაიზდებიან, მაშინ ისინიც დაიწყებენ უმცროსს დებზე ზრუნვას და ამისთვის უკანასკნელი შთამომავლობა დედის ტოლნი იზდებიან, რადგან უფროსი დების წყალობით იმათ ბევრი საზდო აქვთ.

***

დედა ბზიკი რომ მოვიცილოთ მაშინ, როცა ბუდეში საკმაოთ არიან დედალი მუშა-ბზიკები, შევნიშნავთ რომ ბზიკები თანდათან მრავლდებიან. აქედგან დავრწმუნდებით, რომ ეს ახალი დედლები თუმცა განაყოფიერებულნი არ არიან, მაგრამ მაინც გამოტეხენ მამლებს.

***

აქედგან სჩანს, რომ როგორც ფუტკრებს, ისე ბზიკებს მამლები გაუნაყოფიერებელ კვერცხებიდგან ებადებიან და დედლები განაყოფიერებულ კვერცხებისგან; მაგრამ ფუტკრებში დედა-ფუტკარი სდებს ორივე გვარ კვერცხებს, რადგან იმაზეა დამოკიდებული მამლის თესლი მოაცხოს კვერცხს თუ არა; რადგან მამლის თესლი წინანდელ დართვის შემდეგ ბევრი აქვს შენახული ტანში. ბზიკებში კი განაყოფიერებულს კვერცხებს და გაუნაყოფიერებულს სულ სხვა და სხვა დედლები სდებენ.

მაგრამ ფუტკრებს უფრო ბევრ წილათ აქვთ განაწილებულნი მუშაობანი.

საქმიმო ნაწილი.

საშუალება, რომლითაც შეიძლება ხოლერის დაჭერა, რომ სხვა-განაღარ მოეფინოს.

ხოლერა არის ხაშმიანი ავათმყოფობა. როდესაც კაცს ტანში ჩაუდგება ხოლერის გესლი, მხოლოდ მაშინ გახდება იმითი ავათ, მაგრამ რა არის ეს გესლი, რა თვისება აქვს, ამისი ნამდვილათ არა იციან რა აქამდის. ამ ჟამათ მეცნიერები მიკროსკოპებით განიხილვენ ხოლერით ავათმყოფისა და კარგა მყოფის კაცის განავალს, საცა შეუნიშნავთ ერთგვარი თეალით უჩინარი წვრილ-წვრილი სოკოები და ჰფიქრობენ, ვითომც ეს სოკოები ის ხოლერის გესლი იყოს, რომელიც ასე უწყალოთ ჰკლავს კაცის შთამომავლობას, მაგრამ ნამდვილათ კიდეე ვერ დარწმუნებულან ამ აზრზე.

***

მუმცა აქამომდე ვერავის დაუმტკიცებია, რომ ეს პაწაწა სოკოები ხოლერის გესლი იყოს, მაგრამ ისინი რომ ძალიან სწრაფათ არღვევენ და ალპობენ კაცის განავალს, ეს კი ნამდვილათ შეტყობილია. მეცნიერების სურვილიც ის არის, რომ შეიტყონ ხოლერის გესლი, როგორც ეს სოკოები, ისე არღვევს კაცის განავალს, თუ არაო?

***

ამ შემთხვევაში ერთი მეცნიერი ექიმის ტრაუტმანის შენიშვნა შეტი არ შეიძლება, ისე საგულისხმებელია. ის ამბობს, რომ ხოლერიანი ავათმყოფის განავალში რომ პაწაწა სოკოები მინახავს, სრულებით იმისთანები არიანო, რომელნიც კარგა-მყოფის კაცის განავალში იმყოფებიანო. ამის გამო ტრაუტმანი ხოლერის გამჩენელ გესლათ არ ხდის ამ სოკოებს; ის ეძახის იმათ კვერცხუკებს, რომელნიც ჩნდებიან იმ დროს, როცა ირღვევა ორგანოსანი კაცის, ან სხეულის ნაწილები.

იმის აზრით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს გაზებს, ანუ ჰაერგვარებს, ესე იგი მყრალ სუნიანს ნივთიერებას, რომელიც ბევრი ადის ჰაერში, როცა სხეულის ნაწილები აყროლდება, ანუ წახდება. ნამდვილათ ხოლერის გესლი კი ვერ გამოაჩინა იმან ამ სოკოებში.

ტრაუტმანმა კაცის და ცხოველის შარდის განხილვით შეიტყო ის ამბები, რასაც აქა ვსწერთ. იმან რომ კვერცხუკები აღმოაჩინა, თურმე ყოველგან ძალიან ბევრნი იმყოფებიან. ისინი არამც თუ მარტო იმ ალაგებში არიან, საცა იმათი სასიცოცხლო და სამრავლებელი ჰავაა, მაგალითად, საცა ნამიანი ჰაერია, სითბოა და ბევრი ორგანიანი ნივთიერებაა გაბნეული. არამედ იქაც არიან, საცა იმათი მარგები ჰავა არ არის, მაგალითად, მაღლა ცის კამარაში, ქუჩებში, ოთახების კუთხეებში, საცა მტვერთან არეულია. ეს კვერცხუკები ჰაერში ჩნდებიან, როცა ტანის წვენები ოხშივრათ ადიან; ამას გარდა კაცი თუ ავათ არის ყოველ იმის ამოსუნთქვაზე ამოდის ეს კვერცხუკები და იბნევა ჰაერში, მაგრამ როცა კაცი ბინძურათ ინახავს ტანს და ოფლის შემდეგ იმის ტანის კანი ალაგ-ალაგ ირღვევა, დაჩირქიანდება, აი, ამ ჩირქიდან გამოდის უფრო ბევრი კვერცხუკები ჰაერში.

***

ტრაუტმანის გარდა სხვა მეცნიერებმაც დამტკიცეს, რომ იმ სადგომებში, საცა ჰაერი თავისუფლათ შედის და გადის, საცა ჰაერი უფრო ხშირად ახლდება, იქ უფრო ცოტაა ეს კვერცხუკები, ვიდრე იმ სადგომებში, საცა ჰაერი დამწყვდეულია. ეს კვერცხები პირველათ მიკროსკოპითაც ძლივს შეინიშნებიან ისე პაწაწა წერტილები არიან, მაგრამ როცა ნამიანს დათბილ ჰავაში მოხვდებიან, მხოლოდ მაშინ გადიდდებიან, გადაიქცევიან დიდ კვერცხუკებათ და გაიბნევიან ჰაერში, როგორც ზემოთ ეთქვით. ტრაუტმანის სიტყვით ისინი დიდ სიცივესაც და დიდ სითბოსაც ადვილათ იტანენ.

ამ სახით ჩვენ შეგვიძლიან ეთქვათ, რომ თვითონ ხოლერის გესლი რომ იყოს, იმისთანა კვერცხუკები აქამდის არ უნახავთ, მხოლოდ ეს კია, რომ ხოლერიანის განავალში რომ კვერცხუკები იპოვებიან, უფრო მოზდილები და გამრავლებულები არიან, ვიდრე ტანმთელი კაცის განავლის კვერცხუკები. აქედგან სჩანს რომ ხოლერიანის ნაწლევები, საცა ეს კვერცხუკები მრავლდებიან, ძალიან სწრაფათ ირღვევა და აყროლდება. ამისგამო თუმცა ეს სოკოები ხოლერის გესლი არ არის, მაგრამ ხოლერა, რომელიც კაცის ტანს არღვევს, ამ სოკოებსაც დაგესლიანებს.

***

რაც ზემოთ ეთქვით, იქიდგან სჩანს, რომ აქამდის რადგან თვითონ ხოლერის გესლი ვერ მიუგნიათ სწავლულებს, ამისთვის ვერც იმის ნამდვილი წამალი შეუტყვიათ; მხოლოდ ეს არის, რომ ყველანი უნდა ეცადონ, რამიზეზებითაც ჩნდება ხოლერა, წინათვე მოსპონ ისინი. და ეს ადვილათ შეუძლიან საზოგადოებას, რადგან ეიცით რომ ხოლერიანის განავალით ჩნდება ყოველგან ეს საშინელი სენი; მაშ ჩვენ საზოგადოთ უნდა ეცადოთ, რომ თავის დროზე მოვკლათ, რაც სენი გამოდის ხოლერიანის განავალში.

***

ზემოთ ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ხოლერის მომფენი ცუდი სუნია, ანუ მყრალი ჰაერგვარი, რომელიც ჩნდება როდესაც ორგანიანი ნივთიერება ლპება. ეს მყრალი ჰაერგვარიუფრო აჩენს ხოლერას, ვინმეს ზემოხსენებული კვერცხუკები, ამისთვის მთავრობის და საზოგადოების ცდა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ იმათ გაჩენის ნება არ მისცენ ჰაერში.

***

როდესაც ყოველგვარი განავალი და უწმინდურება ირღვევა, ის მყრალი ჰაერგვარიც მაშინ ჩნდება, ახლა მოვთვალოთ ის მიზეზები, რომლისგამო ირღვევა ყოველნაირი უწმინდურობა: ნიადაგი, რომელსაც ძირი თიხიანი აქვს, ფეხის ადგილები, შარდის მოსაგროვი ადგილები და უწმინდურობის საყრელი ორმოები. აი, ესენი არიან ხოლერის მომფენი მიზეზნი. ამისთვის სანამდის ამ ალაგებში უწმინდურობა დარღვევას იწყებდეს, მანამდის უნდა მოსპონ ეს უწმინდურობა და, აი, ამითი მოსპობენ ხოლერის გამჩენს მიზეზსაც.

***

ტრაუტმანი ამბობს, რომ ყოველგვარი სიმყრალისა და კვერცხუკების მომკველი საშუალება, აი, ეს არის. ერთს ბათმანს ახალ დამწვარს კირს დაასხმენ იმდენს წყალს, რომ ფაფათ გადაიქცეს და სანამდის ჯერ კიდეე არ გაცივებულა ეს კირი, შიგ შეურევენ ათს გირვანქას ქვის ნახშირის ზეთს და თუთხმეტს გირვანქას ქლორის მაგნეზიას (хлористая магнезія), აფთიაკში იკითხე, რომელიც წინდა-წინ უნდა გაიშალოს ცხელ წყალში. აი, ეს წამალი უნდა გადასხან ყოველნაირ უწმინდურებას და ის არამც თუ აღარ გააჩენს ხოლერის მომტანს მყრალს ჰაერგვარებს, არამედ რაც ცუდი სუნი დგას ჰაერში, იმასაც

მოსპობს. ამასთანავე ვიტყვით, რომ ზემოხსენებული წამალი სრულებით ძვირი არ არის.

*
* *

უყვავილიანის მორჩენა ერთგვარ მცენარით. ერთი აპტეკარი, საფრანგეთში ბერჟის ქალაქიდგან იწერება, რომ მეგამოვენახე ერთი მცენარე, რომელიც ყვავილიანს არჩენსო, ეს წამალი ამ ნაირათ კეთდება. ევროპაში ბევრგან ბაღებში თესვენ ერთნაირ მცენარეს, რომელსაც სახელად სარრაცენია პურპურეა ჰქვია (sarracenia purpurea). ეს მცენარე გადმონერგილია ჩრდილოეთის ამერიკიდგან. აფთეკარი ურჩევს ამ მცენარის ფესვების წვენი ასვან ყვავილიანებს და უეჭველათ მოარჩენსო. ამერიკის ნამდვილნი მცხოვრებნი როცა კარგათ არიან, მაშინაც კი სმენ, რომ სისხლში თუ რამე სენია, გაიწმინდონ. ყვავილიანის გარდა ეს წამალი თურმე ძალიან უხდება წითელას, ხველას, ქუნთრუშას და სხვ.

უცხო ქვეყნის ამბები.

ამ უკანასკნელს ჟამს ვენგრიამ ძალიან წამოიწყო ხელი პურის ვაჭრობით. უმისოთაც ნაყოფიერი მიწები კარგათ რომ დაიმუშავეს, ისეთ მოსავალს აძლევენ, რომ გასაკვირველია. ზოგიერ პურის ადგილებს კიდეც ეშინიათ, ვაი თუ პურით ვაჭრობა მოგვიჭრასო ევროპაში. ქვემომოყვანილ ანგარიშიდგან ადვილათ იცნობს მკითხველი, თუ რამდენათ გაძლიერებულა პურის და ფქვილის გატანა ევროკაში.

გატანილია

1859 წელს—ექვსი მილიონი ას ორმოცდა თორმეტი ათასი ფუთი.

1865 წელს—ოცდა ხუთ მილიონ ფუთამდის.

1869 წელს— ორმოცდა ცხრა მილიონ ფუთამდის.

მეტი წარმატება მოსავალში რაღა იქნება.

პურით ვაჭრობა ასე უფრო იმისთვის გადიდდა, რომ ევროპაში ამ უკანაკნელს ხანს ძალიან ცუდი მოსავლები იყო და ამას გარდა თვითონ ვენგრიის საკაროლოში რკინის გზები დაკეთდა, ცეცხლის გემები გამრავლდა მდინარეებში და ამათის მადლობით კიდევ უფრო გაადვილდა და გაძლიერდა პურითა და სხვა ნივთებით ვაჭრობა.

*
* *

საფრანგეთში ჯოგის შენების ამბავი.

სულ მთელი საფრანგეთი თითქმის ორმოცდა შვიდი მილიონი დესეტინაა. ამ რვა წლის წინათ რომ ცნობა შეკრიბეს, იმის ანგარიშით ირიცხება ცამეტი მილიონი თავი პირუტყვი. საფრანგეთში თითქმის ხუთი მილიონი დესეტინა საბალახოებია. შვიდი მილიონი დესეტინა სათიბები, აგრეთვე საძოვარი მინდვრებიც თითქმის იმდენია; ოცდა ხუთი მილიონი დესეტინა საყანეებათ არის გაკეთებული.

*
* *

პირუტყვების რიცხვი მეტი არ შეიძლება ისე გამრავლდებოდა, სოფლის მეოჯახეები რომ უფრო გონიერათ ხმარობდენ თავის ადგილებს, საცა ჭაობიანი ალაგებია, იმას დაწრეტდენ და საცა წვიმა არ ხვდება, იმ ადგილებს რომ მორწყვას დაუწყებდენ. ამ უკანასკნელს ჟამს საქონლის ფასმა ძალიან იმატა, ასე რომ იმათი გაშენება და გაყიდვა ძალიან სასარგებლო ხელობა შეიქნა. ხორცს ძალიან ეტანებიან; შინაური საქონელი რომ ვერ აუდისთ, გარეთიდგან შემოჰყავთ ძალიან ბევრი საქონელი. ხორცის ჭამა დაბალს ღარიბ ხალხში ძალიან მატულობს, განსაკუთრებით ქალაქებში.

*
* *

თუ საფრანგეთში იმდენათ გაკეთებული არ არის პირუტყვის შენება, როგორც უნდა ყოფილიყო, ამის მიზეზი, აი, რასში მდგომარეობს: 1 მთელს ჩრდილოეთის დასავლეთს მხარეზე, საცა საუკეთესო შემუშავებული და ნაყოფიერი მინდვრებია, ცხენით მუშაობენ და არა საქონლით. უფრო სამხრით რომ დავისწროთ, იქ საქონელი ცოტა ჰყავთ: რადგან კაი საბალახოები არ არის, ამიტომ რომ წვიმა ცოტა მოდის და ხშირად გოლვიანი ამინდებია. ძალიან ცუდი ზედმოქმედება აქვს პირუტყვის გაშენებაზე, მიწის პატარ-პატარა ნაჭრებათ დაყოფას და იმის ხელით მუშაობას, რომლისგამო პირუტყვი მიწის მუშაობაში აღარ საჭიროებენ.

*
* *

რადგან ხორცს კაი ფასი აქვს, მეჯოგეები მოზვრებს და კუროებს სულ საკლავათ ჰყიდიან და შინ საშენებლათ კარგი ჯიშის საქონელს აღარ სტოვებენ.

*
* *

ამ ჟამად საზღვარ გარეთიდგან ბევრი საქონელი შემოდის საფრანგეთში მხოლოდ საკლავათ. ბაყვანით, სულ ანგლიაში გაჰყავთ საფრანგეთის პირუტყვი.

სხვა და სხვა ამბავი

—ჩინეთში მოდის ერთგვარი თეთრი ჭინჭარი, რომლიდგანაც აკეთებენ ისეთს თეთრ ძაფს, რომ ბამბას არ დაუარდება. ეს მცენარე ჩვენშიაც კარგათ მოვა. ჩყნა წელს ეს მცენარე პირველად შემოიტანეს ლონდონში, მაგრამ ამ უკანასკნელს დრომდის იმისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ორმა მიწის მომუშავემ თავს იდვეს ამ მცენარის გაშენება და იმისგან ძაფის კეთება, ისეთი მშვენიერი გამოდგა, რომ ერთმა სავაჭრო შენობამ მისცა ამ ორ კაცს სამასი საპალნე თეთრი ჭინჭარი. ამათ აქციეს ეს ჭინჭარი ბამბათ. მშვენიერი თეთრი ძაფი გამოვიდა და როცა შეღებეს ენდროში და სხვა საღებავ წამლებში, ყველა ნაირი ფერი კარგათ აიტანა. კიდეც დარწმუნდენ, რომ ამ ჭინჭრის ძაფიც ისე მშვენიერათ იღებება, როგორც ბამბის ძაფი; მეორე მხრით გათეთრებისა და შეღების შემდეგ სწორეთ იმდენათ ეკარგება სიმძიმე ამ ჭინჭრის ძაფს, რამდენიც ბამბას. ბოლოს ესეც ნამდვილათ შეტყობილია რომ იმით ნაქსოვი სამოსელი კალინკორზე უფრო მ გარია. თუ ეს ჭინჭარი ისე გაშენდა ევროპაში და ჩვენშიაც, რასაკვირველია ბამბის გაშენება იმდენათ საჭირო აღარ იქნება.

*
* *

— **შვეიცარიის სახელმწიფოში** ერთი მაზრაა, სახელათ ბერნი ჰქვია, სადაც შეუნიშნავთ ტყის გავლენა ჰავაზე და აი, რას მოგვითხრობენ ამ საგანზე. სახაზინო ტყეების და მიწების გამგეობამ დააწესა ამ ექვსი წლის წინათ სამი სამეცნიერო ბინა (სტანცია), სადაც უკვირდებიან და იტყობენ ყოველნაირს ჰავის ცვლილებას. ყოველს ამ ბინათაგანზე ორ ალაგს ირჩევენ დაკვირვებისთვის: ერთი ტყეში, მეორე გაშლილ უტყეო ადგილზე ერთი ბინა ძალიან მაღლობზეა, საცა ხეები აქა-იქ დგანან; მეორე ბერნის მახლობლათ უფრო დაბლობზე და მესამე კიდევ უფრო დაბლობზე, სადაც წიფელის ქოჩორა ტყეა გაშენებული.

*
* *

ამა ბინცებზე დაკვირევებამ აღმოაჩინა, რომ ტყეში უფრო ნამიანი ჰაერია, ვინამც გაშლილ ალაგზე. ტყეში უფრო გრილი ჰავაა, ვინამც უტყეო ალაგს, ტყის ძირში უფრო ცივი ჰაერია, ვინამ ტყის წვერზე. ტყეში ისე ჩქარა არ იცვლება ჰავა, როგორც მინდორზე. აქ არც მიწა გათბება იმდენათ, როგორც უტყეო ალაგს. მართალიც არის, რადგანაც ტყის ძირათ მზე არ ხვდება და მინდორს ყოველთვის მზე ადგას. წვიმა კი უფრო ბევრი გაშლილ მინდორზე მოდის, ვინამც ტყეში. როდესაც შეადარებენ გაშლილ მინდვრის ჰავას ტყის პირის ჰავასთან, ნახვენ ხოლმე, რომ იმათ შორის სითბოთი დიდი განსხვავება არა არის რა. თუ ამწვანებული მინდორი კარგათ მორწყულია, იქაც ცივდება ჰავა. მაგრამ რომ ამბობენ, ბევრი ტყის გაშენება იმ ქვეყნის ჰავას აცივებსო, ეს მართალი არ არის და არც არავისგან შენიშნულია. და თუ ევროპაში, საცა კი ტყე გაუწყვეტიათ ყოველგან ჰავა შეცვლილია, ამის მიზეზი ხომ მარტო ტყეების შემუსვრა არ არის: იმ ალაგებზე ჰავის ცვლილება ბევრს სხვა და სხვა მიზეზებს მიეწერება.

* * *

მყრალ ალაგს თუ ძროხა ძოვს, უეჭველათ რძესაც მყრალი სუნი ექნება.

ერთი ამერიკელი მეოჯახე იწერება, რომ წარსულს წელს ივნისის დამდეგს, ხბო რძით მოიტანჯა და მომიკვდაო. ბოსლის გვერდით გავათხრევინე მიწა და ხბო იქ დავამარხვინეო. რამდენსამე დღეს შემდეგ ძროხა რომ მოვაწველინე, რძეს ცუდი სუნი სდიოდა, შემდეგ მეორეთ და მესამეთ მოწველაზე სუნი გაუქრა, მერე ისევ აუდინდა. როგორც ბოლოს შევნიშნე ეს დამოკიდებული იყო იმისგან, ჰქროდა თუ არა ქარი იმ მხრიდგან, საცა ხბო ემარხა.

* * *

ჯერ ვერარას მივხვდი და მეგონა თუ ჭურჭლებისგან იყო. ამისთვის დავარეცხინე ჭურჭლები, მაგრამ სუნის მოცილებას არა ეშველარა. ერთ დღეს მინდვრათ გაველი, საცა ჩები ძროხები ძოვდენ და ატყდა ქარი დასავლეთიდგან; ვიგრძენ, რომ ქარს ლეშის სუნი მოჰქონდა; ამისგამო წაველ მოსაძებნათ და თავს წავატყდი ხბოს ლეშსა, რომელიც ღრმათ არ დაეფლათ და მყრალი სუნი ამოდიოდა. რასაკვირველია, რომ ამ მყრალი ჰაერით სუნთქავდენ ჩემი ძროხები და ამისგამო რძესაც სუნი უდიოდა. თუმცა რძე იმდენათ სუნს არ იცემდა, რომ მაშინვე მოწველაზე ეგრძნო კაცს, მაგრა რძეს და ყველს იმდენათ ახდენდა, რომ კაცს პირთან მიკარება არ შეეძლო. ყველი აფუნებული იყო და საძაგელი ცუდი სუნი ჰქონდა. ვუბძანე, რომ ხბო ძალიან ღრმათ დაემარხათ, ასე რომ სუნი არ ყოფილიყო. რაკი ეს ავასრულეთ და სუნი გაქრა. რძე აღარ ჰხდებოდა იმისაგან.

განცხადებები.

სახელოსნო სასწავლებელი ქალებისთვის

ვარანცოვის ნაპირზე, კნ, თუმანოვის სახლში, ქვეით ეტაჟა

თფილისს

ყმაწვილების მიღება სასწავლებელში ინიშნება ენკენისთვის პირველ რიცხვიდან. სასწავლებელში ასწავლიან:

ა) სალმრთო წერილს;

ბ) რუსულს და ქართულს წერა-კითხვას (სომხური და ნემეცური ენის სწავლებას ლაიწყებენ სასწავლებელში, თუ ათამდი შეიკრიბა სომხის ან ნემეცის ყმაწვილები);

გ) ყოველგვარი პერანგეულობის და ქალის ტანსაცმელის კერვას მაშინაზე, აგრეთვე ქრას და კაბის გაწყობას;

ე) წიგნების აკინძვას და ყდის კეთებას;

ვ) ბაშმაკების კერვას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ყმაწვილს შეუძლიან ან ყველა ეს ხელობაები ისწავლოს, ანა და მარტო ის, რომელსაც დედ-მამა ისურვებს.

სასწავლებელში სწავლა დილის რვა საათზე იწყება და თავდება ნაშვადღევს ორ საათზე. სასწავლებელში ყმაწვილები ათი წლისა და მეტისანი მიიღებიან.

ყოველი შაგირდი, რომელიც სასწავლებელში სწავლას დაასრულებს, მიიღებს მოწმობას, რომელშიაც მოხსენებული იქნება რას სწავლობდა შაგიდრი, და რა ხელობა იცის კარგათ.

სწავლის ფასი თვეში მანეთ-ნახევარია.

სასწავლებელი თუთხმეტ ყმაწვილს უფასოთ ასწავლის, თუკი დარწმუნდა, რომ ამ ყმაწვილების დედმამას არა აქვთ შეძლება რომ სწავლის ფასი გადაიხადონ.

ვინც სასწავლებელში ყმაწვილის ჩარიცხვას აპირებს და მოლაპარაკება სურს იმაზე, თუ რა უნდა ასწავლონ სასწავლებელში, როგორ ან რამდენ ხანს, იმას სთხოვენ სასწავლებელში მობრძანდეს და უფ. დ უ კ ე ლ ს კ ი იკითხოს.

ჯერ-ჯერობით სასწავლებელის სამკურნალო განყოფილება მიიღებს შემდეგ სამუშაოს:

კაცის და ქალის პერანგი..	50 კაპ. 1 მა—დე.
ბალიშის პირი.. . . .	15 — 20 კაპეიკამდი.
ქალის კოფტა	40 — 1 მანეთამდე.
იუპკა.	75 — მ. 50 კაპ—დი.

წიგნების აკინძვა—პირობის და გვარათ.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში ისყიდება

საწერი რვეული

სურათებითა

ფ ა ს ი 1 შ ა უ რ ი.

ერთ ვისმეს ჰსურს იყიდოს **ბ ა ღ ი** ანუ **ვ ე ნ ა ხ ი** რამდენიმე დღიური მიწითა. ეს მამული უნდა იყოს ქალაქთან ახლო სოფელში და ჰქონდეს თავისი საკუთარი წყალი. ვისაც ჰსურს ამ გვარი მამულის გასყიდვა, შეუძლია მსყიდველის ადრესი შეიტყოს თბილისში, მელიქიშვილის სტამბაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29-го Августа, 1870 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.